№ 191
ხუთშაბათი, 8 სექტემბერი 1894

გაზეთი ღირს:

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12 . . .	10	—	6 . . .	6	—
11 . . .	9	50	5 . . .	5	50
0 . . .	8	75	4 . . .	4	75
9 . . .	8	—	3 . . .	3	50
8 . . .	7	25	2 . . .	2	75
7 . . .	6	50	1 . . .	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

1877—1894

ივერია

№ 191
ხუთშაბათი, 8 სექტემბერი 1894

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად:
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—
16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

დღესასწაულის გამო შემდეგი ნომერი გამოვა შაბათს, 10 სექტემ.

საკომერციო კურსები

ქალებისა და ვაჟებისათვის

წელი მეცამეტე

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ ატესტატები ეძლევათ. 1894—95 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქმნება სასწავლებელი: 1) საკომერციო ეკონომია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუხგალტერია მარტივი, ორ-კეცი და საბანკო, 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით. 5) საკომერციო მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ-წერა და წერა გაკრული და შნოიანი (исправленіе дурного почерка).

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდამ. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყეს 1 სექტემბრიდამ, ყოველ დღე დილის 10 საათიდამ თერთმეტამდე და საღამოს 4 საათიდამ 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა № 9, სერგიევისა და ნაგორნის ქუჩაზედ, აფთიაქის პირდაპირ.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკირო კანტორაში, სიონის ქუჩაზედ.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიმართოს კურსების დამაარსებელს ბ. მანუელიანცს, ტფილისს.

(24—1297—17)

წერილები და კორესპონდენციები უნდა იგზავნებოდეს მხოლოდ რედაქციის სახელზედ.

კბილის ექიმი

ვ. ი. ჭიჭინაძე

(მიხეილის ქუჩა, სახლი კრაუზესი, 79)

მიიღებს ავადმყოფებს დილის 9-დგან ნაშუადღევის 2 საათამდე და საღამოს 4-დგან 6 საათამდე.

რთულ და ძნელ სადოსტაქრო საქმის, ოპერაციის დროს ისწრებს ექიმს ი. ელიაშვილს. (4—6—1)

ქუთაისში

ს. ი. ოცხელის სასწავლებელში და საყმაწვილო ბაღში მიიღება ბავშვები ორივე სქესისა 5—7 წლამდის 5 მან., 7—9 წლამდის 10 მ.

(5—1688—2)

MISS MARJORY WARDROP

ქვეით ჩვენ ვბეჭდავთ ქალბატონის მარჯორი ვარდროპის წერილსა, რომელიც ამ საპატიო ინგლისელმა ახალგაზდა მანდილოსანმა გამოუგზავნა „განდეგილის" ავტორს.

ჩვენ ვერ ვნახეთ შესაძლებლად, რომ ეს მშვენიერი წერილი ინგლისელის ქალისა, რომელსაც ქართული წერა-კითხვა შეუსწავლია ძველი წიგნების საშვალებით თავის კაბინეტში, დაგვემალა და არ გაგვეზიარებია საზოგადოებისათვის ის ჭეშმარიტი სიამოვნება, რომელიც ჩვენ იმის წაკითხვის გამო ვიგრძენით.

ქალბატონი ვარდროპი კარგა ხანია ვიცოდით, რომ მოყვარული იყო ჩვენის ქვეყნისა. მაგრამ ეს საპატიო ქალი ახლა თავისის პირით აღი-არებს ამ ძვირფასს ჩვენთვის გრძნობას, რომელსაც უეჭველია ყველა კარგი ქართველი ჩინებულად დააფასებს.

როგორც წერილიდან სჩანს ეს დიდად ჩვენთვის სიმპატიური ასული დიდებულის ქვეყნისა მალე გვესტუმრება და იმედია, დარწმუნდება, რომ ქართველი ხალხი არ არის უმადური და სიყვარულისა და მეგობრობის მნიშვნელობა, რომელიც ჩვენ დაგვიმტკიცა ამ სამაგალითო ქალმა— ქართველს კარგად ესმის.

„ივერიის" მკითხველი, რასაკვირველია, საკმაოდ იცნობს ბ-ნის Vaziani ს წერილებიდან ქალბატონ მარჯორი ვარდროპს და მის საპატიო ოჯახს. მაგრამ შეცდომაა იმისი ფიქრი, რომ კაცმა შეიძლოს ღირსეულად დააფასოს და მისწვდეს ინგლისელის ოჯახის სიკეთეს და იმ ტიპების გონებრივსა და ზნეობრივ სიმხნევეს და სიმშვენიერეს, რომელთა რიცხვში უნდა ჩაითვალოს Miss Marjory Wardrop-ი დაწერილისა და მოთხრობილის ამბით. ამისთვის საჭიროა თითონ ამ ოჯახების ნახვა და ამ ტიპების გაცნობა.

მეველე

* * *

Chislehurst. Kent.
England.

8 სექტემბერი 1894.

მოწყალეო ხელმწიფევ!

ინგლისურად თარგმანი ვჰქმენ თქვენსა „განდეგილსა", რომელსა უკეთესისა ლექსისაა თქვენი მშვენიერი ენაში რომ მე ვკითხე, და რომელსა ქონება ყველას მწერლობას დიდება უნდა იყოს.

მე დიდი სურვილი მაქვს გავუზიარო ჩემს თანამემამულეთ ის სიამოვნება რომელიც მე ამ ლექსმა მაგრძნობინა. ამისთვის გევედრებ თხოვნა თქვენი ნება ეს ჩემი თარგმანი გამოცემად.

გსცადე სიტყვითი სიტყვითად მას გამოთქმა, მაგრამ ბევრი მისი მშვენიერება უნდა იყოს, საწყალოდ, დაკარგული უცხო თარგმანში.

ჩემი ძმა დიდი პატივი ქონდა, რადგანმე წელიწადნი უკან, ტფილისში, თქვენი გაცნობა ქმნა, და მე დიდი იმედი მაქვს რომ მეც მაგასთან მალე მოვალ საქართველოში, ქვეყანა რომელთან მე გულწრფელი სიყვარული ვჰგრძნობ, და სურვილი მაქვს რომ მერე მე შევიძლებ პირ და პირ გამოთქმა უღრმესი პატივისცემა თქვენის ნიჭისთვის და დიდებულის მსახურობისათვის მიცემული თქვენგან მაღლებურს მეფობას საქართველოსთვის.

მე ვარ, ბატონო, მომლოდინე ჩემთვის სასიხარულო ნებისა,

თქვენი პატივისმცემელი.
Marjory Wardrop

თავადი ილია ჭავჭავაძე
ტფილისი

* * *

ახალი ამბავი

⁂ ორშაბათს, 5 სექტემბერს, ამ შემოდგომაზედ პირველი მორიგი კრება ჰქონდათ ქალაქის საბჭოს ხმოსანთა. ქალაქის მოურავმა კრებაზედ უპირველესად წაუკითხა ხმოსანთ მის იმპერატორებითის უმაღლესობის დიდი მთავრის მიხეილ ნიკოლოოზის ძის პასუხი იმ დეპეშისა, რომლითაც ქალაქმა მიულოცა ქორწინება მის უმაღლესობას დიდს მთავარს ალექსანდრე მიხეილის ძეს, და მადლობა მის იმპერატორებითს უმაღლესობის მემკვიდრე ცესარევიჩისა, რომელიც საბჭოს მოუვიდა მის უმაღლესობის დანიშვნის მილოცვის გამო.

შემდეგ ქალაქის მოურავმა განუცხადა ხმოსანთ გარდაცვალება ი. ე. ხატისოვისა და მ. ა. თამამშოვისა, საბჭოს ხმოსნებისა. ხმოსნებმა ფეხზედ წამოდგომით პატივი სცეს მიცვალებულთ.

ამის შემდეგ შეუდგნენ მორიგ საქმეთა განხილვას, რომელთა შორის ყველაზედ საყურადღებო იყო კომისიის მოხსენება მიწად-მოქმედების და სახელმწიფო ქონებათა მინისტრის წინაშე შუამდგომლობის შესახებ, რათა ტფილისში დაარსებულ იქმნას საპოლიტეხნიკო ინსტიტუტი სამთო და სამეურნეო განყოფილებით, რადგანაც ამ სასწავლებელს სხვა სასწავლებლებზედ მეტი მნიშვნელობა აქვს ამ ქვეყნისათვისაო. ეს წინადადება საბჭომ შეიწყნარა და დაადგინა, დაიწყოს ეს შუამდგომლობა.

⁂ გუშინ, ამ თვის 7-ს ნაშუადღევის 2 საათზედ; ტფილისს ჩამო-

ფელეტონი

ხმა სოფლიდგან

სადა ხართ, გმირნო, მამულის შვილნო,
გამრავლდით, კალამს მოჰკიდეთ ხელი,
მჭევრ-მეტყველების ჰქა-ქუხილით
გამოაფხიზლეთ ერი და მღვდელი.
ხმალმა მოსჭამა თვისი დრო-ჟამი,
დღეს კალამია მეფეც და გმირიც,
ის ასამართლებს ქვეყნის ავ-კარგსა,
იმის ხელშია ლხინიც და ჭირიც.
კარგს სიტყვას ბევრი რამ შეუძლიან,
სიტყვაა ქვეყნის გამნათლებელი—
სიტყვა ბოროტის დამამხობელი
და კეთილისა გამმეფებელი;
ეს დაგვიმტკიცა თვით მაცხოვარმა,
ჩვენთვის ჯვარცმულმა შუქ ნათლიანმა,
მთელი ქვეყანა მოარჯულ-ღმერთა
მისმა სიტყვამა ბრძნულმა, ღვთიანმა.
გალობა ტკბილი და საამური
გვიღვიძებს აზრსა, ჭირს და ლხენასა,
მისივე ძალა აქვს და ექმნება
ჭკვა-გრძნობით სავსე მოძღვრის ენასა.
მაშ რას უყურებთ, სიბრძნის მეტყველნო,
და არ ასაქმებთ ენისა წვერსა,
ნუ თუ ვერ ჰხედავთ, რომ ჭკუა-გრძნობით
დღესაც ღრმად სძინავს უმეცარს ერსა?!
გვეყო [illegible]ენი ძილი და თვლემა,
გვიღარიბდება ხალხი ქონებით
და უკან მიდის უქონლობისგან
გამჭრიახობით, ზნით და გონებით.
აგერ რას ვხედავთ: მრავალნი ჩვენში
კუჭის გულისთვის გაკერპებულან,
დაჰვიწყებიათ ღმერთი და რჯული,
ფულს აღმერთებენ, გამხეცებულან;
დაობებიათ სირევვნით ტვინი,
ამბობენ: ის რას მიედებაო,
თუ მე არა ვარ, სულამც გამწყდარან
და ქვა-ქვაზედაც ნუ იქნებაო.
სისხლსაც-კი სწოვენ საპყარ-ღატაკებს
სოფლის ჭამია მოღალატენი,
სულსაც აცლიან წამების ცეცხლით
და არსად სჩანან მოავგლახენი:
ძმა ძმას სისხლსა სვამს, შვილი—დედმამის,
ერთმანეთს სჭამენ ცოლი და ქმარი,
ფეხ ქვეშ სთელავენ ურცხვად რჯულკანონს,
საჩხუბრად სტოკავს კუბოში მკვდარი.
გამძლავრებულა ხალხში სიბნელე,
ულმერთობა და მოღალატობა,
აღარა სწამთ-რა, გარდა ფულისა,—
დუღს და გადმოდის შური და მტრობა.
ოჰ, რას არ ვხედავ!.. ვხედავ და ბრაზით
ზღვის ღელვასავით მიშფოთავს სული,
მინდა ვუწამლო, ვერასა ვშველი,
და ბოლოს გულით მიკვდება გული.
დღე-მუდამ ჰბილწავს ხალხის ჭკუა-გულს
თვით მოწეს-რიგეთ ცუდი ზნეობა,
სად ხარ, მწერლობავ, მადლო უფლისავ,
მოდი, გაუწი ბნელსა მზეობა!
აჰხადე ფარდა წამხდარს ქვეყანას,
სიტყვის შხამ-გესლით მოჰხიბლე ავნი,
სული ჩაუდგი მომაკვდავს კეთილს
და აღუდგინე ხატ სალოცავნი!..
თორემ უვიცს ხალხს მთლად წაგვირყვნიან
ზნე-დაცემულნი, ავი სულები,
და წერე ვეღარ მოარჯულებენ
თვით მთელის ქვეყნის მოციქულები.
გამოდით სოფლად, მამულის შვილნო,
და უწინამძღვრეთ უმწყემსო ერსა,
სული და გული გაგიახლდებათ,
სიბრძნეს შეიძენთ ცით მონაბერსა.
აინთეთ გული კაცთ-მოყვარებით
და ჩვენთა წარსულ გმირთა დიდებით,
სთესეთ კეთილი სიტყვით და საქმით,
ებრძოლეთ ბოროტს გადაკიდებით.
ნუ შეიწყალებთ, გაანადგურეთ
სიტყვის ისარით მავნე და კლესა
და შეასმინეთ მთელს საქართველოს,
რანი ვყოფილვართ და რა ვართ დღესა!.
ვით მზის სხივები, ისე მოჰფინეთ
სამშობლო მხარეს სიტყვა ძმობისა,
გაუფრთხეთ ხალხსა გონების ძილი,
ჩაუდგით სული ვაჟკაცობისა;
ურჩიეთ ყოველი ახალი საქმე,
რაც-კი წინ წასწევს იმის გონებას
და დაუბადებს საგმირო ფიქრსა,
ხერხიანს ცოდნას, კეთილ-ქონებას.
ხმალად და ფარად გაუხდით თქვენგან
ნარჩევს სიტყვას და დაწესებულებს,
შემოგფრთხებიან სოფლის მგელ-ქაჯნი
ძმათა საშველად თავ-დადებულებს.
ხალხს როცა საქმით ღრმად დაარწმუნებთ,
რომ თქვენ იმათთვის იღვწით და ჰზრუნავთ
და, მისთვის წამლად მოვლინებულნი,
ბნელს აჩირაღდნებთ და ჭირსა ჰკურნავთ,
მაშინ ზღვასავით შეიძვრის ერი
და აღელვდება გრძნობით და სულით,
შეიგნებს თავსა და წარმატების
გზას შეუდგება მხურვალე გულით;
მთლად გაახილებს თვალებს ცოდნისას,
გაძლიერდება ღონით, გონებით,
ქვეყნად გაითქმის ქართველთ სახელიც
ძმობა-ერთობით, ნიჭით, ქონებით...
ნეტავი მაშინ თქვენ, ქვეყნის გმირნო,
თქვენ მოგიძღვნიან სიტყვას ქებისას,
თქვენ გცემენ თაყვანს ქალნი და კაცნი,
თქვენ დაჰლევთ შარბათს უკვდავებისას!..
მაგრამ იცოდეთ: როს ყურს მოჰკრავენ
მშურნი თქვენს ქებას და ვაჟკაცობას,
შური გაჰხეთქავთ და დაიწყებენ
ცილის წამებით თქვენს კიცხვა-მტრობას.
ოჰ, ღმერთო ჩემო, შურსა და მტრობას
რამდენი აწევთ კისერზედ ბრალი,
მათ დაუღუპავთ ჩვენნი მეფენიც,
ჩვენი დიდებაც და მომავალი.
არ ვართ უგონო, გულთა-მხილაო,
არც ზანტობა სჭირს ჩვენ გამრჯელობას;
არ-თანაგრძნობა, შური და მტრობა,—
დღესაც ეს ჰღუპავს მთელს ქართველობას.

ვიდა კავკავის გზით ემირი ბუხარისა მირ-სეიდ-მირ-აბდულ-ახადხანი ამალითურთ. ვერაზე ემირს დაუხვდნენ ტფილისის პოლიცმეისტერი ლ. პ. მასტიცკი და ტფილისის მაზრის უფროსი თავ. ლევ. ჯანდიერი. აქედგან ემირის ეტლს გამოჰყვა კავკასიის მთავარმართებლის ამალა თავისის დროშით. გუბერნატორის სახლში ემირს დაუხვდა ტფილისის გუბერნატორი კამერგერი თავ. გ. დ. შერვაშიძე, ტფილისის კომენდანტი გენერალ-მაიორი ნ. ი. რეიტერი და სხვ.

⁑ გუშინ ჩვენს სახელმწიფო თეატრში პირველი რეპეტიცია იყო ოპერისა.

⁑ ამ დღეებში საშინელი სიცივეებია ტფილისში, ამის მიზეზი როგორც ჩვენ გვაუწყებენ, თოვლია. კავკავის გზაზედ დიდი თოვლი მოსულა. თოვლი აგრეთვე მოსულა მანგლისის ახლო მთებზედ, ამას გარდა ტფილისის ობსერვატორიას დეპეშით აუწყებნ, რომ ამიერ-კავკასიაში ყველგან წვიმები მოდის და მთებში-კი თოვლს.

⁑ გუშინ ტფილისში დეპეშა მოვიდა, რომ კავკასიის მთავარმართებელი გენერალ-ადიუტანტი შერემეტევი კისლოვოდსკიდგან წამოვიდა ტფილისშიო.

⁑ ოფიციალურის ცნობებიდგან სჩანს, რომ გასულს აგვისტოში ტფილისის მაზრის მცხოვრებთა შორის გადამდები სენით არავინ გარდაცვლილა.

⁑ უმაღლესად ნება დაერთოთ, რომ მიიღონ და ატარონ მის უგანათლებულესობის ბუხარას ემირის ნაბოძები ორდენი ბუხარას ვარსკვლავისა: ოქროსი მე—2 ხარისხისა: გზათა უწყების ინჟენერებმა კოლ. სოვეტ. ა. ნ. პუშეჩინკოვმა და კოლ. ასეს. ე. ლ. ვედენევმა, და ვერცხლისა მე—3 ხარისხისა: უფროს კონდუქტორმა აზნაურმა ვ. მ. ლორთქიფანიძემ და ტფილისის სადგურის სასტუმროს პატრონმა შთამამავლობით საპატიო მოქალაქემ ე. ნ. ჩხარტიშვილმა.

⁑ ტფილისის მეორე სავაჟო გიმნაზიაში წრეულ 98 ყმაწვილია მიღებული. თხოვნა იყო შემოტანილი 225; ზოგნი ისეთებიც ვერ მიიღეს, რომელთაც ეგზამენები კარგად დაიჭირეს.

⁑ ჩვენ შევიტყეთ, რომ იანვრიდგან 1895 წ. კავკავის გზას საფოსტო და სტელეგრაფო უწყება მიიღებს თავის ზედამხედველობაში, რისაგამოც ბ-ნმა ტფილისის გუბერნატორმა განკარგულება მოახდინა, რომ ამ გზაზე ყველა სადგურების შენობები მაზრის უფროსის დახმარებით ჩაჰბარდეს ამ უწყებას.

⁑ ტფილისის საბაჟოს უფროსად კ. ი. სავინის ალაგას, როგორც ჩვენ შევიტყეთ, დანიშნული იქნება ნიკოლაევის საბაჟოს გამგე ბ-ნი პალიცინი.

⁑ ახალ სენაკი: დადგა თუ არა სექტემბერი, თან მოიტანა ცუდი დარები. ცა მუდამ შავის ღრუბლებით მოფენილია, დღე-გამოშვებით სწვიმს. ბუნება მიმკრთალი, უხალისო და ჰინჭყლიანია. 4—5 ამ თვეს ჰაერმა ათასფრად იტრიალა და დიდი სიცივეებიც დაიჭირა, ასე რომ სადგომებს გათბობა დასჭირდა. სექტემბერში ასეთ სიცივეებს არასოდეს არ მოსწრებულან. ჰაერის ასე აცივება, რასაკვირველია, ჭირნახულს დიდს ზიანს მოუტანს.

⁑ ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის წინამძღოლი თავადი კ. ი. ბაგრატიონ-მუხრანსკი, როგორც შეუტყვია გაზ. «ნოვ. ობოზ.»-ს, ნოემბერში ისევ აპირებს პეტერბურგში წასვლას თავად-აზნაურობის საქმეების გამო.

⁑ ქუთაისის ახალ ქალაქის საბჭოში, იმავე გაზეთის სიტყვით, გამგეობის წევრთა არჩევანი მოხდება 15 სექტემბრამდე. მანამდის განხილულ იქმნება საჩივარი ერთი ხმოსნის შესახებ, რომელსაც, მომჩივანის სიტყვით, მე-24 მუხ. მე-2 შენ. ქალაქის დებულების თანახმად, უფლება არა ჰქონია მონაწილეობა მიეღო გამგეობის წევრთა არჩევანში და ამიტომ დათხოვნილი უნდა იქმნას ხმოსნობისაგან.

⁑ 4 სექტემბერს ქუთაისის გუბერნიის შორაპნის მაზრის, სახხერის საზოგადოების მცხოვრებელი სამსონ პავლეს ძე ხვეტისაშვილი, 37 წლისა, დუქნის მხრიდგან სადგურ სამტრედიისკენ მოდიოდა, გზაზედ უეცრად წაიქცა და სული დალია ზედ სადგურის შესავალთან. მიცვალებულის გვამი, მაზრის ექიმის მოსვლამდე, ადგილობრივ პოლიციას გადასცეს.

დამაკვირდი

ცოდნა ადამიანს სიმდიდრეს აძლევს, სარწმუნოება—ნეტარებას. ეხლანდელი ხალხი უფრო გამდიდრებას არის მოწადინებული, ვიდრე ნეტარების მოპოვებას.

ლევენსტეინი

* *

ფესვების ავ-კარგიანობა შტოს შეეტყობა.

არაბ.

* *

ათასი წელი უნდება ხოლმე სამეფოს დაფუძნებას და ხშირად ერთი საათიც საკმარისია, რომ ფერფლად იქნას ქცეული.

ბაირონი

ჩემი მოგზაურობა

ტფილისიდგან კოჯორს და კოჯრიდგან ტფილისს.

ნაწილი მესამე და უკანასკნელი *)

ახლად გათენებული იყო ორშაბათი, რომ ჩემმა მასპინძელმა-ქალმა გამომაღვიძა და გარედ გამოვედი ჰაერის ჩასაყლაპად. გენეს სასტუმროს წინ ომნიბუსები მზად იდგა და დიდძალი ხალხი ეხვია: მოგზაურნი ერთმანეთს ადგილებს ეცილებოდნენ. დავინახე ომნიბუსები და გული ამიჩქროლდა, ამიტოკდა, ტფილისისაკენ გამიწია, იმ ტურფა ტფილისისაკენ, სადაც თუმცა სიცხე ჰკლავს და მტვერი არჩობს ადამიანს, მაგრამ თვალს სხვა და-სხვა სანახავი ჰხიბლავს, ცხოვრება დუღს და გადმოდის და ადამიანის გულსა და გონებას ამ დუღილში ხავსი, ობი არ ეკიდება. სწორე მოგახსენოთ, ძალიან მორჩილი ყმა ვარ გულისა და არც არასოდეს მოვუტყუვებივარ ჩემს გულის-თქმას.

გულის-თქმის გონებაში გავლება და ჩემი მოწადინება ერთი იყო. ჯერ ომნიბუსი დავათვალიერე, რომ წასვლისასაც ის დღე არ დამადგეს, რაც მოსვლისას დამემართა-მეთქი, შემდეგ მივედი და ბილეთი ავიღე ვიღაც ტერ-მელიანისაგან, რომელსაც ომნიბუსები ეკუთვნოდა. ჩემს, ცოტა არ იყოს ამ ამბით გაოცებულს, მასპინძელს-ქალს გამოვემშვიდობე, მადლობა გადავუხადე, ხელი დავავლე ქუდსა და ომნიბუსში ვშვლიჭე თავი. სამართლიანობა მოითხოვს ვსთქვა, რომ ტერ-მელიანის ომნიბუსი გაცილებითა სჯობდა წინანდელს და ცხენების ნახვაც თვალს არ ეჩოთირებოდა, «პირუტყვთა მფარველ საზოგადოებას» გულიც-კი ამოუჩუყდებოდა, რომ ენახა ეს მშვენივრად დამაძღარი და გასუქებული ცხენები.

ამ ომნიბუსში სულ ორი ქალი და რვა კაცი ვისხედით. ერთი ქალი ახალგაზდა იყო ღ მახინჯი, მეორე—მოხუცი და კეკლუცი. კაცებს შორის ერთი ვექილი იყო, ერთი ექიმი, სამიოდე „კაკარდოსანი“, ერთი ვაჭარი, ერთი იჯარადარი, ერთიც ძველებური, კაბა-ყურთმაჯებიანი ლიპიანი სოვდაგარი, რომელსაც სწორედ სამის კაცის ადგილი ეჭირა. ჩემდა საუბედუროდ, ეხლაც ამ სქელის კაცის გვერდით მხვდა ადგილი და იმის სისქესთან სულ ერთიანად დავიკარგე და მივიჩქმალე, ბუზადაც აღარა ვსჩანდი. ვფიქრობდი, ეხლა ამისი ქშენა გულს შემიწუხებს-მეთქი, მაგრამ, საბედნიეროთ, დაქანებულს გზაზედ ომნიბუსი ძალიან სწრაფად მიჰქანობდა და გულ-დადინჯებული, სულ-დამშვიდებული ჩამოვაღწევდი ქალაქამდე, ერთი ამბავი რომ არ მომხდარიყო.

გამოვცდით თუ არა კოჯრის სახლ-აგარაკებს და გზა-ტკეცილს დავადექით, ომნიბუსში მყოფთ დავინახეთ, რომ ჩვენს სწრაფად მავალს, დაქანებულს ომნიბუსს სირბილით მოსდევდა ერთი წაბლის-ფერი, ტან-დაბალი და ფეხებ-მოკლე ძაღლი, რომელსაც დაღალულობით ენა გადმოეგდო და თავ-განწირვით მორბოდა. ყველანი სიბრალულმა აიტანა და კარგა ხანს ადევნებდნენ თვალს ძაღლს, რომელიც ომნიბუსს ხან მარჯვნივ მოექცეოდა და ხან მარცხნივ. რამდენსამე ვერსს რომ გავცდით და ძაღლს პატრონი არავინ გამოუჩნდა, შევეკითხე ჩემს გვერდით მყოფს იჯარადარს, თქვენი ხომ არ არის-მეთქი, მაგრამ იმანაც უარი განაცხადა ღ სხვებმაც. მარტო ლიპიანი ყურთმაჯებიანი იჯდა გულ-არხეინად, ცალის თვალით ხან ძაღლს გადაჰხედავდა ხოლმე, ხან მიღუღულავდა და ისეთ ნაირად გარინდდებოდა, თითქოს ფქვილის ბათმანი დევს ომნიბუსში და არა სულიერ-ხორციელი ადამიანიო.

თითქმის ცხრა ვერსი გამოვიარეთ. ომნიბუსი მიჰქროდა, ქანც-გაწყვეტილი ძაღლი უკან მოსდევდა და ჩვენ კიდევ შემაძრწუნებელის სიდინჯით დავცქეროდით იმის თავის ძალ-დატანებას, რომ ომნიბუსს არ ჩამოვრჩე და გზაარ დამებნასო. საბრალო ცხოველი ისე იყო მოღალული, რომ ხშირად წაიბორძიკებდა ხოლმე, ბურთსავით გაგორდებოდა, მაგრამ შემდეგ ისევ მარდად და ცქვიტად წამოხტებოდა და თავ-გამოდებით გამოეკიდებოდა ომნიბუსს. პირუტყვი თანდათან იღალებოდა, მაგრამ ჩვენის მოთმინების ფიალა-კი მაინც არ ამოივსო და მისი შემბრალებელი იმდენ გულ-ქვა ხალხში არც ერთი არ აღმოჩნდა.

ბოლოს ველარ გავძელ, ერთი სუსტი მუჯლუგუნი შევსთავაზე მილურსმულს ლიპიანს მეზობელს და ვკითხე:

— ნურას უკაცრავად, ეს ძაღლი თქვენი ხომ არ არის-მეთქი?

— ჩემია მაშ, უყურე როგორ მორბის, უხარიან, რომ ქალაქში მივდივართო, ამოიდგა ენა ჩემმა დიდის ხნის დასვენებულმა თანამოგზაურმა:

გვისმინე, ზენავ, გააქრე შური,
გაგვიკეთილე ბოროტი სული
და გაგვიმძლავრე ყველგან სიმრთელე,
ძმობა, ერთობა და სიყვარული;
მოგვასწარ ლატაკ მოძმის ცხოვრებას,
ერთობის ძალით გაჩაღებულსა,
მეცნიერებით და ხელოვნებით
ჩვენს ერს და მამულს აღყვავებულსა,
რომ საქართველო და მისი ერი
მზეობდეს ქვეყნის ისტორიაში
და მარად ჟამსა იქ დიდებულად
იბადრებოდეს ვით მთვარე ცაში...

დ. მაჩხანელი

განა ჩემი ბრალია?

(სურათი სოფლის ცხოვრებისა)

(დასასრული *)

თებრონა შინისკენ წამოვიდა, მაგრამ რაც სახლს უახლოვდებოდა, მუხლები ეკეცებოდა და გული საშინლად უცემდა. როგორც იყო, მივიდა თავის მშობლების სახლთან... შიგ სახლში შესვლა ვერ შებედა იქვე ხის სკამზედ მოწყვეტილსავით დაეშვა. იმის იღბალზედ მამა შინ არ იყო. დედა კიდევ ისე არ აშინებდა თებრონას. დედამ თვალი მოჰკრა თავისს ქალს და გახარებულ-გაჯავრებული მივიდა შვილთან.

— შვილო, სად დაგვეკარგე წუხელ? რაზე შეგვარცხვინე, რაზედ დაგვჭერ ყელები?

თებრონა მიწას დაჰყურებდა და ხმას არ იღებდა.

— რამ შეგიკრა კრიჭა! არ იტყვი, შე პირქუშო, სად ეგდე?

— სად უნდა ვგდებულიყავი ჩემ ნათლიდედასთან ვიყავ! თავ-აუღებლივ უპასუხა თებრონამ.

— შენმა სიცოცხლემ, რაც მაგას მართალს ამბობდე... არა, ხომ იცოდი, რომ წუხელ უნდა დაგვენიშნე? მერე რა ეშმაკმა გადაგრია, ან რად დაიმალე...

— რა გინდა, დედი! შენ ხომ იცი, თუ მამაჩემმა არა! განა ერთხელ მითქვამს შენთვის დათიას ვერ წავყვები ცოლად-მეთქი?

— არ წაჰყვები, შენმა მზემ, იმისი ოჯახი გულს დაგძმარავს არა? არა და ჩვენი ბატონიშვილი მოდის შენს შესართავად..

— თვალი ბატონიშვილსაც დაუდგეს და დათიას ოჯახსაც... თუ არ ამიხირდებით, მე თითონ ვიცი ვინც მოვა ჩემს შესართავად...

— უყურე ამ ურცხვს... შენმა თავის მზემ ვიღაც ტინგიცა ტიტიას შიგცემთ, არა? ეგლა უნდა ჩვენს ოჯახს, რომ ჩვენი შვილი სხვის ხელში შემაყურებელს მოჯამაგირეს გადუგდოთ...

— მოჯამაგირეს, დედი, შენ ხომ არ ირთავ, მე შევირთავ... ოღონდ...

— აგერ მამაშენიც მოდის და ის შეგრთამს ცინგლიანს ტიტიას...

მართლაც ფიდო მოდიოდა. სახეზედ ეტყობოდა, რომ წუხანდელი ამბისაგან ბრაზი და ჯავრი ჯერ კიდევ არ გაჰნელებოდა... ფიდომ შენიშნა თებრონა, რაღაც მწარედ გაიღიმა და საშინლად შეჰღრიალა...

— მობრძანებულხარ, ჩემო შემარცხვენელო? თებრონა კურდღელსავით შეხტა, მაგრამ თავი მაინც მაღლა არ აიღო.

— სად ეგდე შენ, შე დედ-მამის თავის მომჭრელო! სად? რატომ ხმას არ იღებ, შე ბეჩაო, შენ, ჰა? ფიდომ ხელის სახრე შეამაღლაურა და თებრონას წელზედ გადაჰკრა. თებრონამ ერთი კი შეჰკივლა «ვაიო» და იქვე მიწაზედ გაერთხო გულწასული.

ამ ხმაზედ თებრონას დედა სახლიდგან გამოვარდა და გულ-წასულს შვილს მიჰვარდა.

— რამ გადაგრია, კაცო, რაზე მიკლამ შვილს?..

— მოკვდეს, თუ მაგეთი იქნება, რა სასიცოცხლოა .. მაგრამ ჰკუას ისწავლის... ძაღლი კოჰლობით არ მოკვდება.

დედამ თებრონა წყლით მოასულიერა და ოთახში შეიყვანა.

— სახლიდგან ფეხი არ მაცვლეინო, მაგ ურცხვსა მაგას... მე წავალ, დათიას შევატყობინებ, რომ ამაღამ დანიშნოს და ხვალვე ჯვარი დაიწეროს...

ფიდო გატრიალდა... თებრონამ თვალები გაახილა და დედას შეჰხედა.

— დედი! ნელის ხმით უთხრა დედას: მამაჩემმა რატომ არ მომკლა?

— რად ამბობ, შვილო, მაგას? დღეს შენს გაბედნიერებას ველი! სიკვდილს შენთან რა ხელი აქვს?

— ეგ ბედნიერება ჩემი სიკვდილია! ხომა მკლავთ და უცებ დღესვე სიკვდილი არა სჯობდა?

— ვინა გკლავს, შვილო? ხვალ ჯვარი უნდა დაგწეროთ და შენ კიდევ რაღაცეებს ამბობ?

— მაშ ხვალამდის კიდევ ვიცოცხლო?

— დედა გენაცვალოს, ნუ მაშინებ! წყალი დაგამშვიდებს! სადაც არის მამაშენი და დათია მოვლენ.

—დათიაო? თოფ-ნაკრავივით წამოიძახა თებრონამ... ხომ პირში ვუთხარ უარი? მაგრამ მოვიდეს... გავყვები... საქორწილო სამზადისი დასჭირდებათ...

— ნუ, ნუ იტყვი, მაგას დედა გენაცვალოს...

— მაშ რა ვქნა, დედი, გული არ მიმდის დათიაზედ... მეშინიან...

— დღეს გეშინიან, ხვალ შეიყვარებ... შენ ჯერ რა იცი, გამოუცდელი ხარ...

— არა, დედი, დათიას მე ვერ შევიყვარებ...

— ტყუილად ჰფიქრობ, შვილო!

— მართალს ვამბობ დედი; განა ჩემის გულის ამბავი არ ვიცი?

— თუ კი ის ცინგლიანი ტიტია შეიყვარე, დათიას უფრო არ შეიყვარებ? ყვედრებით უთხრა დედამ...

— ტიტია რომ მიყვარს და დათია მძულს, განა ჩემი ბრალია?

ამ ლაპარაკში ფიდო და სოფლის მამასახლისი მწერლით სახლში შემოვიდნენ.

---

*) იხ. „ივერია“ №№ 174 და 158.

*) იხ. «ივერია», № 190.

ვა, შეხედე-და, აბა თუ დაისვენოს, იაფად უჯდება კოჯრიდგან ჩამოსვლა აი, მე ვიცი ჩვენსავით ექვსექვსი აბაზი მიუცია გზის ფული!.. იოხუჯა ამ გულზედ ქონ-მიკრულმა უცნაურმა ადამიანმა.

— რატომ არ ამოიყვანთ, ცოდვა არ არის?!

— ვა, ძაღლი და ცოდვა ცოდვა იმას ესმის, ვისაც ეკკლესია და მღვდელი სწამს. ახრ, ძაღლმა ესეები რა იცის?! ძაღლმა რომ ცოდვა იცოდეს, განა კანჭში სწვდებოდა ვისმე და ხორცს გამოაგლეჯდა?.. დამიწყო ფილოსოფოსობა ყურთმაჯიანმა.

ამ ფილოსოფოსობამ უფრო გამაწიწმატ-ტარხუნა. ვფიქრობდი, სხვა არა მინდა-რა, ნეტა იმდენი ძალა მომცა, რომ ის ძაღლი შენს ადგილას დავაბძანო და შენ-კი ამ ომნიბუსს გამოგიყენო უკან სირბილითამეთქი. წარმომიდგა გაქანებული ომნიბუსი და უკან დადევნებული ეს ღიპიანი კაცი და ჩემდა უნებურად ღიმილი მომერია, ამ ღიმილმა ჩემს გაწიწმატება-გ-ტარხუნებას ცოტა არ იყოს ძალა დაუკარგა და დაჩლუნგა. ამან თავის შემაგრების ძალა მომცა და კვლავ წყნარად შევეკითხე:

— მაინც სულიერია და შებრალების ღირსია-მეთქი, მაგრამ ჩემი ხმა დარჩა ხმა მღაღადებლისად უდაბნოსა შინა. ღიპიანმა ისე გაიღიმა, რომ პირის ნახევი ყურებამდე მოერღვა და ჩემი ნათქვამი ბაიბურშიაც არ ჩაუგდია. მე თავი დამანება და თავისს ძაღლს გამოელაპარაკა:

— ჰა, რაო, ყურშა, დაიღალე?!. ახრ, ისე იფიქრე, ვითომ ეს ფურგუნი (ომნიბუსს ფურგუნი დაარქვა) ყურდღელია და შენც იმას მისდევ რადა...

მინდოდა მეთქვა, რადა კურდღელია", სადაც შენისთანა . ვირის თავი ჰზის-მეთქი, მაგრამ ჩემი ყურადღება ისევ ძაღლმა მიიქცია, რომელიც მართლა რომ შესაბრალისი სანახავი იყო. სულ ერთიანად ოფლით გაწუწულს ყურშას ენა ნახევარ იდლზედ გადმოეგდო, ქაქანებდა და ისე მოუძლურებულიყო, რომ ყოველ წამს წაბარბაცდებოდა ხოლმე, ეცემოდა, მაგრამ ეხლა-კი, ცქვიტადკი არა, რის წვალებით სდგებოდა, რომ ისევე გამოსდევნებოდა ეტლს.

დავყურებდი ყურშას და ათასმა ფიქრმა გამიარა: რად არის ასე-მეთქი, ვფიქრობდი, რომ ხშირად ადამიანი პირუტყვს უფრო ჰგავს და ცხოველსკი უფრო მეტი ადამიანობა დაჰყვება ხოლმე?.. შევხედე ჩემს თანამოგზაურს და მართლაც, რომ დიდი მსგავსება ჰქონდა პირუტყვთან. სქელი, ჩაძვრენილი კისერი, მეტად ბრტყელი, დიდრონი ყურები, უშველებელი ღიპი და მოკლე ფეხები სწორედ რომ განასხვავებდა ადამიანისაგან.

ამასობაში ომნიბუსი ტფილისს მოუახლოვდა. ყურშა-კი რის ვაი-ვაგლახით მაინც მორბოდა გამალებული. ოქროყანას რომ გამოვცდით და ვიწრო გზაზედ გადმოვედით, საბრალო ყურშამ როგორღაც წაიტორტმანა, წაიბორძიკა, წაიბარბაცა, გაგორდა და მერე ისე ძალ-მიხდილად, რომ ომნიბუსის თვალს მოჰყვა ქვეშ. ომნიბუსმა წელზედ გადაუარა და იქვე გააფრთხობინა სული. საბრალო ყურშას უსიცოცხლო თვალები თავისის პატრონისკენ მიეპყრო და სიკვდილის წამსაც, როგორც ეტყობოდა, იმის ფიქრში იყო. ღიპიანმა-კი მარტო ამ სიტყვების თქმა-ღა შესძლო:

— ეგ ახმახი, აქამდის მოვიდა, ქვეშ რაღასა ვარდებოდა-და!..

ამ სიტყვებმა ისე გამაცეცხლა, ისე ფინთიხივით მოსხვდა გულში, რომ სოლოლაკთანვე გადმოვხტი ომნიბუსიდგან და ფეხით ჩამოსვლა ვირჩიე ქალაქში იმ გულ-ქვა ადამიანთან ერთად მოგზაურობას.

ეს ამბავი ისე ჩამრჩა გულში, რომ მას შემდეგ მთელი კვირა მოწამლული და ჩაშხამებული მქონდა და ყურშას მომაკვდავი თვალები წამის-წამს მომელანდებოდა ხოლმე.

ორ-ანი

კორესპონდენცია

—

სოფ. ხიმში (რაჭის მაზრა), 1 სექტემბერი. თიბათვის დამლევიდგან ჩვენს ყანა-ვენახს წვიმის ცვარი არ უნახავს. ყანა ვენახი დიდს გაჭირვებაში იყო. გლეხებმა ბევრი ევედრეს „ღრუბელთ წინამძღვარს ილიას“, თხაც შესწირეს, მაგრამ ხვეწნამა და ეშმაკის მახვერპლმა ამაოდ ჩაუარათ. მხოლოდ 19 აგვისტოს სალამოს დასავლეთით გაჩნდა ცაზედ პატარა შავი ღრუბელი, და მთელს ცას შავად გადაეკრა. სწორედ ვახშმობის დრო იქნებოდა, როდესაც დაიწყო მშვენიერი ჟუჟუნა წვიმა. ამ წყნარმა წვიმამ გათენებამდე კარგა ძალზედ გაალბო მიწა, და ეხლა რომელ ყანაშიაც უნდა შეხვიდეთ, ასე იტყვით, უფალს ფეხი აქ უდგიაო. ვენახიც მოაბრუნა ამ წვიმამ.

1894 წელს როგორც სხვა მაზრებში, რაჭის მაზრაშიაც ისურვა მთავრობამ რამდენისამე საზოგადოების შეერთება ერთად, როგორც სხვა საზოგადოებაში, მაზრის უფროსი ამოვიდა ამბროლაურის საზოგადოებაშიაც. ვინაიდგან წესის საზოგადოება დასამხრისად იყო ამბროლაურის საზოგადოებასთან, დაიბარა სოფ. ამბროლაურს წესის საზოგადოება და სთხოვა ორივეს შეერთება, ამასთანავე გამოაცხადა, სადაც კანცელარია აშენდებოდა, იქვე ორ კლასიანი სასწავლებელი უნდა დაარსდეს თავისის ბალითაო. წესის საზოგადოება შეერთებას დათანხმდა იმ პირობითკი „თუ ნებას მოგვცემ, კანცელარიის შენობა ავაგოთ ამ ორის საზოგადოების შუა ადგილას, ე. ი. ხიმშის ჭალაზედ თუ არა და არ გვინდა, ჩვენჩვენთვის ვიქნებით, როგორც აქამდე ვიყავითო“ ბ. მაზრის უფროსმა ბრძანა: „კარგი! მე მოვახსენებ გუბერნატორს, და თუ ის დაგვთანხმდება ხიმშის ჭალაზედ კანცელარიის და სასწავლებლის დაარსებას, მე წინააღმდეგი არავარო“. ივლისის დამლევს ისევ მოვიდა სოფ. ამბროლაურს მაზრის უფროსი, შეჰყარა ერთად ორივე საზოგადოება და გამოუცხადა: „გუბერნატორისაგან დამტკიცებულ იქნა ხიმშის ჭალაზედ კანცელარიის და კლასის აშენებაო“. ამბროლაურის საზოგადოებამ უარი განაცხადა, არ შეიძლება ჩვენი სოფლიდგან კანცელარია დავსძრათო; მართალია, პირველად დავსთანხმდით ხიმშის ჭალაზედ კანცელარიის აშენებას, მაგრამ ვინაიდგან ველევის საზოგადოებამ ისურვა ჩვენთან შეერთება, ჩვენ აქ უფრო გვირჩევნია კანცელარიაო. რასაკვირველია, იმათ იქ ურჩევნიათ, მაგრამ ის რატომ არ იციან, რომ წესის საზოგადოებას არ ურჩევნიან ექვსი ვერსის მისვლა მოსვლა.

28 აგვისტოს ეს მეოთხედ იქნა საზოგადოება თავ მოყრილი ისევ კანცელარიის და სასწავლებლის აშენების შესახებ. ამბროლაურის საზოგადოებამ ისევ უარი განაცხადა. ხალხში ისევ ერთი აყალ-მაყალია, მაგრამ იმედია გუბერნატორის გარდაწყვეტილება არ გაცრუვდება და ისევ ხიმშის ჭალაზე აშენდება კანცელარიაცა და სასწავლებელიცა. ხიმშის ჭალაზედ მით უფრო სჯობია კლასის და კანცელარიის აშენება, რომ ხიმშის ჭალა შუა ადგილია ამ ორს საზოგადოებათა შორის, და ადგილიც იაფფასათ იშოვება, ვიდრე ამბროლაურში, ჰავაც უკეთესია, რიონი ხუთ საჟენ სიშორეზედ თუ იქნება იმ ადგილიდგან სადაც კანცელარიისა და სასწავლებლის შენობის აგებას არიან განზრახული...

ვ. ქიქინაძე

მღვიმევის მონასტერი

—

რომელი მონასტერი უფრო მდიდარია საქართველოშიო ჰკითხეთ ჩვენში პატარა ბავშვს და ისიც-კი გიპასუხებთ, მღვიმევის დედათა მონასტერიო. მართლაც, მას აქეთ, რაც შავი-ქვა გამოჩნდა ჩვენში, მღვიმევის დედათა მონასტრის შემოსავალმა და ავლა-დიდებამ ერთი ოცად იმატა. იმოდენი ადგილი დარჩა მონასტერს შავ-ქვიანი, დუქნებისა და საწყობების გასამართავი, რომ მარტო საწყობებიდგან, უკანასკნელი ათასი თუმანი ნაღდი ფული შემოსდის მონასტერს წელიწადში. მაგრამ, ხომ მოგეხსენებათ, სადაც იმერული კრიმანჭული გაჩნდება და უკანასკნელი ნოქარიც-კი ჯიბის გასქელებას მოინდომებს, იქ ხეირი აღარ იქნება და საქმე უკუღმა დატრიალდება... ვინ არ იცის, რომ უწინ საქართველოში მონასტერი განათლების ბუდე იყო!.. ეხლა მღვიმევის მონასტერში ერთი სკოლა ჰქუტავს, და, როგორც იმის, ამასაც მოსპობას უპირებენ. ამის მიზეზად იმას ასახელებენ, რომ ამ სკოლის გამართვა ერთი „ვექილის“ თაოსნობა ყოფილა და რადგან მეორესთვის არა უკითხავსრა, ამიტომ ამ მეორემ იმდენი გძელგძელი „დანოსები“ ჰგზავნა, რომ ყოვლად სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოზის გაბრიელის მობრძანებაც-კი საჭირო შეიქმნა, რომელმაც 27 აგვისტოს თავის თვალით დაათვალიერა ყველაფერი და რა მოჰყვება ამ დათვალიერებას, ამას შემდეგ დავინახავთ.

ამ მონასტერს-კი არა თუ ამისთანა სკოლა ეკადრება, არამედ ძალიან ადვილად შეუძლიან ამ მონასტერს ხუთას-ხუთასი თუმანი წელიწადში გადასდოს და ერთი იმისთანა სკოლა გაჰმართოს, სადაც სამადლოდ და სამაგალითოდ წერა-კითხვის სწავლების გარდა, სხვა-და-სხვა ხელ-საქმეც ისწავლებოდეს, რითაც ძველადგანვე განთქმულია მღვიმევის დედათა მონასტერი. მონასტერს ამოდენა შეძლება მოეპოვებოდეს და კიდევ იმას იძახოდნენ, სკოლა არ გვინდაო! აბა ეს არის აი სამწუხარო! საკვირველია, ღმერთმანი, რაში იხარჯება იმდენი ფული, საწყალის ჩვენის ხალხის სისხლითა და ოფლით მორწყულ და მისთა გმირთა ძვლებით მოფენილ ადგილებიდგან ამოღებული?!.. სკოლა არის და მონასტერს არაფერი ეხარჯება, რადგან თვით ღარიბ-ღატაკ შეგირდებისაგან იღებენ საჭირო ფულს; ხაზინაში ვინახავთო და ეს ყველამ იცის, რამდენსაც ინახავენ. როცა საჭირო იქნება, დაწვრილებით ანგარიშსაც მოვიპოვებთ ჩვენის სიტყვების დასამტკიცებლად.

რაც შეეხება იმას, რომ მონასტერს ბევრი ხარჯი სჭირდებაო, ე. ი. მონაზონთა ცხოვრებას ბევრი ფული ეჭირვებაო და სამადლო საქმეს რაწაირად უნდა გაუძღვესო, ეს ხომ სიცრუე იქნება. მონაზონთა ცხოვრებაში ქონებრივად არავითარი ცვლილება არ მომხდარა; როგორც უწინ, ისე ეხლაც მღვიმევის მონასტრის დედანი სოფელ-სოფელ დაიარებიან ზამთარ-ზაფხულ,

---

თებრონა შიშის ზარმა აიტანა და ცახცახი დააწყებინა. მამასახლისი მელურის ღიმილით მიუახლოვდა თებრონას და ალერსით უთხრა.

— ქალო, მაგეთი კარგი ყოფილხარ და გათხოვება კი არ გინდა? თებრონა თავ-ჩაქინდრული იჯდა.

— ტყუილი ცილი დასწამე შენს ქალს! ამის თვალებში ვკითხულობ, რომ ძალიან უნდა გათხოვება! აი თუ არა, მწერალო, მამე ის ქაღალდი!

მწერალმა მამასახლისს დაწერელი ქაღალდი და საწერელ კალამი მიუტანა.

— აი, შვილო, თებრონა! ხომ იცი, მე მთელის სოფლის ამორჩეული კაცი ვარ! ცუდს არას მოვინდომებ შენთვის! შენც ისეთი კარგი ქალი ხარ, რომ უარს აღარ იტყვი და დათიას შეირთავ... აი მოაწერე, შვილო, ხელი ამ ქაღალდს და გათავდა... კანონი აღარას გერჩის მაშინ... აბა დაიჭი კალამი.

თებრონამ კალამი ჩამოართვა, მაგრამ ხელი და მთელი სხეული ისე უცახცახებდა, რომ კალამი ხელიდგან გავარდა... მამასახლისმა მალე მიაწოდა კალამი და უთხრა:

— ნუ გეშინიან, შვილო, მოაწერე.

თებრონამ რაღაც დასჩხაბნა ქაღალდზედ,., თვალები აებლისა და იქვე ტახტზე გადესვენა ფერწასული... თებრონას დედა მიჰვარდა.

— არაფერია, გაივლის, აბა, ფიდო, მიუბრუნდა ფიდოს მამასახლისი. დათიას უთხარ, ქაღალდი მზად არის და წაიღოს. პირობაც-კი არ დაავიწყდეს... მამასახლისი და მწერალი წავიდნენ. ფიდოც უკან გაჰყვა, მაგრამ ცოლმა შეაყენა.

— კაცო, სად მიხვალ, არ იტყვი, ი რა ქაღალდი იყო?

— რა ვიცი კანონია, რომ ქალმა ეკკლესიაში უარი აღარა სთქვასო...

— მე... მამავ... უარს აღარ ვამბობ, წაილუღლუღა გონზედ მოსულმა თებრონამ.

— მაგრე არა სჯობია, შვილო! ერთად წამოიძახეს სიამოვნებით იმის მშობლებმა.

ფიდომ შეატყობინა დათიას და მამასახლისთან გაჰგზავნა ქაღალდის გამოსართმევად. რაკი წითელის ქაღალდით გაიჩარხა საქმე, სიმამრ-სასიძო იმ დღესვე საქორწილოთ მოემზადნენ.

—

ღამის თერთმეტი საათია... სოფლის პატარა ეკკლესია ხალხით გაიჭედა. ეკკლესიაში, რომ ვეღარ დაეტია ხალხი გარეთ გამოსავალ კარებთან მოგროვდნენ, რომ ჯვარდაწერილნი მაინც დაენახათ თებრონა და დათია... უფრო ხალხს თებრონას ნახვა უნდოდა, რადგან წინა ღამის ამბავი მთელმა სოფელმა იცოდა.

აგერ მღვდელმა სამჯერ ხმა-მაღლა ჰკითხა ნეფე-პატარძალს თანხმა ხართ ერთმანეთის ცოლ-ქრმობისა თუ არაო? დათიამ საჩქაროდ განაცხადა თანხმობა... თებრონა? გაფითრებული, თვალებ-მილულებული ეკკლესიის იატაკს დასცქეროდა. ეკკლესიაში-კი იდგა, მაგრამ ფიქრი ღ გონება შორს, შორს, სადღაც გამოურკვეველს სამყაროსაკენ მიუნავარდობდა. მღვდელი თებრონას ხელმეორედ დაეკითხა.-. თითქო ეხლა გაიგო თებრონამაო, თავ-აუღებლივ თანხმობა განაცხადა. მღვდელმა დაიწყო წესის გადახდა და როცა სთქვა დაგვირგვინდების მონა და მხევალიო... თებრონას თვალიდამ სხვილი ცრემლი ჩამოვარდა. ცრემლი იმის ღია გულს დაეცა და საცოდავს უკანასკნელი სიცოცხლის ძარღვიც ჩასწყვიტა... გაფითრებულს ფუნჩულა ლოყის თავებზედ ორი თხილისოდენა სიწითლე შეუთამაშდა.

მაყრიონი ნეფე-დედოფალს მხიარულად გაუძღვა. სახლში მშობლები ახალ ჯვარ-დაწერილებს სიხარულით მიეგებნენ. მექორწილეთ აღარ ახანეს და გრძელს ტახტზე გაშალეს სუფრა. მაყრიონი და სხვა სტუმრები უხვს სუფრას შემოუსხდნენ. გახურდა ღვინის სმა და ორ პირული სიმღერა. ყველა მხიარულობდა, იცინოდა, ოხუნჯობდა, ღიღინებდა, მხოლოდ თებრონას შეეკრა კრიჭა, და სახეზედ შავი ღრუბელი არა შორდებოდა.

კარგა შუაღამე გადასული იყო, რომ თებრონამ თავის გვერდზე მჯდომს მეზობლის ქალს უთხრა, გარეთ გასვლა მინდა, გამომყევიო. მეზობლის ქალი თებრონას დედას დაეკითხა და რაკი ნებართვა მიიღო, პატარძალი გარეთ გაიყვანა.

თავისუფალს ჰაერზე შეხუთული სული თებრონამ ცოტა არ იყო მოიბრუნა და ხარბად ამოისუნთქა, თითქოს ზურგიდგან დიდი ტვირთი მოიშორაო. პატარძალი და მეზობლის ქალი სახლის პატარა ბაღჩაში შევიდნენ.

— გენაცვალე, მარო, შენ აქ მომიცადე, მე აი იმ ხის ძირში მივალ, უთხრა თებრონამ მეზობლის ქალს.

— კარგი, გენაცვა, ნუ კი დაიგვიანებ.

თებრონა გასცილდა თუ არა მეზობლის ქალს, საჩქაროდ შემოიხსნა წელიდგან სარტყელი, ერთი წვერი შეაგდო ხის ტოტზედ, გადმოაცილა ტოტს მეორე წვერი სარტყლისა ყელში მაგრად წაიჭირა და ხეზედ გადაგდებული წვერი მაგრად დასწია. სარტყელმა თებრონა ხისკენ აიტაცა... საშინელი ხრიალი გაისმა და გაგუდული თებრონა ხის ძირში ბრაგვანით დაეცა. ამ ხმაზე მარო ხისკენ გაექანა და დაინახა თუ არა გაშხლართული თებრონა წივილ-კივილით შემოვარდა სახლში...

მხიარული სუფრა აირია... სიცილი და სიმღერა ქვითინ—ტირილად გარდაიქცა...

მესამე დღეს საცოდავი თებრონას გვამი, საპატარძლოდ მორთული, მიაბარეს მიწას, და საქორწილო სამზადისი იმისმა მამამ და საქმრომ ქელეხს მოახმარეს.

ი. კახელი

რიგი რას თხოულობს და რიგი რასა, ვითარცა გადმოხვეწილი ბერძნის ცრუ ბერები და მღვდლები... მიზეზი ამ სიარულისა ჩვენი უკიდურესი სიღარიბეაო, უპასუხებენ ცნობის მოყვარე მკითხველს... ამოდენი შემოსავალი (40,000 მანათამდის იქნება თითქმის), მონაზონთა სიღარიბით ცხოვრება, ხაზინაში სკოლებისთვის ცოტა ფულის შეტანა და „სკოლა არ გვინდაო“ სწორეთ ძალიან ახლოს არიან ერთმანეთთან! მოდი და ნუ გაიკვირვებს ადამიანი. მთელს ზემო იმერეთს უკვირს და გაჰკვირვებია, ამდენი ფული რაში იხარჯებაო. ორი სასულიერო გაზეთი ითვლება ქართულს ენაზე; საკვირველია, ეს გაზეთები იმისთანა ანგარიშებს-კი არა ჰბეჭვდენ, რომელიც ათი-ათას თუმნებს შეიცავს, და ორ გროშიან ანგარიშებით თავისს მკითხველებს თავს აბეზრებენ.

ს. ნ. წერეთელი

რუსეთი

ამას წინად რუსეთში გრაფის რიბოპიერის სვიატოგორსკის მამულში გლეხებმა მოჰკლეს ხუთი ოსი. აი რასა სწერს ამ ამბის გამო გრაფი რიბოპიერის რწმუნებული კრაინსკი.

გრაფის რიბოპიერის აგარაკში დანიშნული იყო მცველებად 80 კაცი, რათა მათ ნება არ მიეცათ გლეხებისთვის თავიანთი ცხენის ურმები დაეყენებინათ აგარაკებს ახლოს. ამას თვით მოაგარაკენი ითხოვდნენ. 14 აგვისტოს მოვიდა მოურავი ავრასი და ჰნახა, რომ დანიშნულ ალაგას მცველები არ იყვნენ და სთხოვა ურიადნიკს გრებენნიკოვს, იარმუკაზედ მოსულ გლეხებს ნებას ნუ აძლევ აგარაკებს ახლოს დაბინავდენო. გრებენნიკოვმა ორი ოსი მოიყვანა თანა და უბძანა, გლეხები უკან დასწიეთო. ოსების თხოვნა ყველამ შეასრულა ერთის გლეხის გარდა, რომელმაც ოსებს ლანძღვა-გინებით მიჰმართა და ერთის ოსის ცხენს შემოჰკრა. ოსმაც თავის მხრივ მათრახი გადაჰკრა გლეხსა. ურიადნიკმა ოსი და ეს გლეხი კანტორისაკენ წაიყვანა, მაგრამ ამ დროს შეგროვდნენ სხვა გლეხები და დაიძახეს: „ვცემოთ ჩერქეზსა“. ოსმა კანტორაში შეაფარა თავი, სადაც ერთი სხვა ოსი მისულიყო კიდევ ჯამაგირის მისაღებად. ხალხის ბრბო მიესია კანტორას, შეამტვრია კარ-ფანჯრები, გამოიყვანა გარედ ოსები და იქვე ორივე დაჰხოცა.

დანარჩენი სამი ოსი იარმუკაზედ ყოფილიყვნენ; ხმაურობა რო შეიტყვეს იმათაც კანტორისაკენ გასწიეს და ამათაც ხალხის ბრბო დაეცა. ერთი ოსი, გვარად ალექსანდრე ადირხაევი, სასტუმროში შეიჭრა. გლეხები უკან დაედევნენ. ადირხაევი მაშინ გარედ გამოვარდა; გლეხები თან გამოჰყვნენ. საბრალომ შეატყო, აღარა მეშველება-რაო, დაიჩოქა გაბრაზებულ გლეხების წინ, ამოიღო უბიდგან ჯვარი და სთქვა, ქრისტიანი ვარ, შემიბრალეთო. მაგრამ გლეხებმა იქვე მოჰკლეს და მოხსნეს ჯვარი და ნიშნობის ბეჭედი. მეოთხე ოსი ბოსტანში მოჰკლეს, მეხუთე ერთის ქოხის ბანზე. უკანასკნელმა ერთი გლეხი დასჭრა მძიმედ ხანჯლითა.

დანარჩენი სამი ოსი დაიმალნენ და სალამოთი მცველებმა მიიყვანეს გრაფის სახლში. ამ ოსებმა სთქვეს, როგორც მოკლულთ, ისე ჩვენ, აირაღი არ გვიხმარია რადგანაც არ გვეგონა, რომ საქმე ისე გამწვავდებოდაო. ხალხის ბრბომ ოსები რომ მოკლა, მერე სასტუმროს დაესიენ, სადაც მოაგარაკენი სცხოვრობდნენ. დაამტვრიეს ყუთები, და წაიღეს ნივთები და ფული. კანტორაში კასსა უნდა დაემტვრიათ, მაგრამ ვერ მოახერხეს და წაიღეს მხოლოდ საწერი ქაღალდი და დაამტვრიეს ტელეფონი.

—

გადაწყვეტილია გაუქმდეს 1 ოქტომბრიდგან პირველი კლასის ვაგონები იმ რკინის გზებზედ, სადაც ამ კლასით მოსიარულე მგზავრთაგან შემოსული ფული 5% არ აღემატება.

—

„გრაჟდ.“-ის სიტყვით 1 იანვრიდგან 1895 წლიდგან ჩაის უეჭველად უნდა ჰქონდეს ბანდეროლი, ეხლა-კი უამისოდაც ისყიდება.

უცხოეთი

კორეის ომი. შან-ჰაიდგან სან-ფრანცისკოს მივიდა გემი „Peru“. ამ გემმა ამბავი მიიტანა, რომ ჩინელების საქმე კარგად ვერ არისო. ლი-ჰუნგ-ჩანგს ეხლა ისეთი დიდი გავლენა აღარა აქვს. ქვეშევრდომთ ლი-ჰუნგ-ჩანგის აღარ ეშინიანთ, და პეკინშიაც აღარა სწამთ, რომ ლი-ჰუნგ-ჩანგს პოლიტიკაში ცოტაოდენი ნიჭი მაინც ჰქონდეს. უწინ პეკინის გაზეთები ხმის ამოღებასაც ვერა ჰბედავდნენ ვიცე-კოროლის წინააღმდეგ, ეხლა-კი ყველანი ერთად თავს დაეცნენ და ბრალსა სდებენ, ომის საქმე კარგად ვერ წაიყვანაო. გაზეთი „ხახი“ იმასაც იუწყება, უკვე შემდგარია კომისია, რომელსაც დაევალა სამართალში მისცეს ლი-ჰუნგ-ჩანგი, რადგანაც მისმა უნიჭობამ ჩინეთის იმპერიას შეურაცხყოფა მიაყენაო. ამ კომისიის წევრებად დანიშნულნი არიან ლი-ჰუნგ ჩანგის მტრები.

ეხლა აღმოჩნდა, რომ სასახლის დასი მშვიდობიანობაზედ იდგა, ხოლო ომი პეჩელიის ვიცე კოროლმა მოინდომა. ამბობენ, ვითომ ლი-ჰუნგ-ჩანგი სიულში მოატყუილა ჩინეთის ელჩმა უონმა. უონმა თავის მოხსენებაში მეტად შეამცირა ნამდვილი რაოდენობა იაპონელთა ჯარისა და ლი-ჰუნგ-ჩანგი დაარწმუნა, იაპონელებს ომის სახელი რომ გამოუცხადოთ, მაშინვე შეეშინდებათო. იგი იმასაც ამტკიცებდა, იაპონელები ჩინეთს ომის გამოცხადებას ვერ გაუბედავენ, და მით უმეტეს ვერც ომს შესძლებენო. ლი-ჰუნგ-ჩანგი მეტად გაჯავრებულია ეხლა უონზედ, მაგრამ არავითარი სახსარი არ მოეპოვება შურისძიებად.

ჩინეთისავე გაზეთები იუწყებიან, რომ ლი-ჰუნგ-ჩანგმა მიჰმართა ჩინეთის მეფე-დედოფალს და შეევედრა, რუსეთსა და ინგლისსა სთხოვეთ დახმარებაო. მაგრამ მეფე-დედოფალმა ამ თხოვნის ასრულებაზედ გადაჭრილი უარი განაცხადეს.

ჩინეთის ქალაქებში ევროპიელებს სდევნიან. ნიუჩიანის მთავრობამ გამოუცხადა ევროპიელთ, დაუყოვნებლივ დასტოვეთ ქალაქი, რადგანაც თუ ჩინელებმა რაიმე ვნება მოგაყენეს, ჩვენ პასუხს არ ვაგებთო.

—

პოლონელები ამერიკაში. ჩრდილო და სამხრეთ ამერიკაში ამ ჟამად 2,000,000-ზედ მეტი პოლონელი ითვლება. ამათში მომეტებული ნაწილი სცხოვრობს შეერთებულ შტატების დასავლეთ მხარეს. პოლონელები ამერიკელებს არ უერთდებიან, აქვთ თავიანთი სკოლები, ჰბეჭდავენ პოლონურ ენაზე გაზეთებს და მრავალ ქალაქში დაუარსებიათ პოლონელ პატრიოტთა საზოგადოებანი. ამ საზოგადოებათა წევრთ ტანთ აცვიათ პოლონელთა უწინდელ ჯარის ტანთსაცმელი, ატარებენ იარაღს, სწავლობენ სამხედრო წესებს და იმედი აქვთ, რომ ადრე თუ მალე ევროპიელნი პოლონელნი სთხოვენ, „მოდით სამშობლო დაგვიხსენითო“. ეს ამერიკელი პოლონელები ჰპირდებიან ევროპიელ პოლონელთ, როცა-კი შემოგვითვლით, 40,000 კარგად შეიარაღებულ, ომისათვის დამზადებულ-გაწრთვნილ პატრიოტს და საკმაო ფულს გამოგიგზავნითო.

გამოსადეგი ცნობა

—

მინდვრის თაგვის გაწყვეტის საშუალება. ზეითალი პ. გაზაანოკი გვაუწყებს მინდვრის თაგვის გასაწყობად შემდეგ საშუალებას: ,,ორს ჩაის კოვზს დარიშხანას მიუმატეთ ორი ჩაის ჭიქა ფქვილი—ხორბლისა, ქერისა და სხვ. კარგად აურიეთ ერთად, დაუმატეთ ამას ოთხი სტოლის კოვზი გამდნარი ღორის ქონი და კარგათ აურიეთ ჯერ პატარა ჯოხით და მერე ხელით, ეს ერთად არეული ცომივით უნდა გახდეს, რომ პატარ-პატარად დაასორსალოთ. თუ კინცობაა ძალიან სქელი ცომი იყოს, ერთი კოვზი ერბო მოუმატეთ და თუ თხელი—ცოტაოდენი ფქვილი, ასე რომ ჩვეულებრივის ცომას სისქე ჰქონდეს. მერე ამ ცომს ორი სტოლის კოვზი დანაყილი შაქარი მიუმატეთ და წამალი მზად იქმნება. როდესაც მზად იყოს ცომი, მუხუდოს მარცვლისოდენებად დაასორსალეთ და თაგვის სოროებთან და იმ ბილიკებზედ დაყარეთ, რომლიდაც სხვა და სხვა მხარეს მიდის ამ სოროებიდგან. სამ-ოთხს დღეში დაატყობთ, რომ თაგვების სინსილა გაწყდება. ეს წამალი მავნებელია და ძალიან უნდა გაფთხილება, რომ ძაღლმა და კატამ არ შესჭამოს და მეტადრე ბავშვს არ ჩაუვარდეს ხელში. ერთი ფუთი დარიშხანა ტფილისში ღირს 18 მან, გირვანქა—სამი აბაზი.

დეპეშა

6 სექტემბერი

პეტერბურგი. შინაგან საქმეთა მინისტრმა გადასცა სამინისტროს მმართვა გენერალს შემენკოს.

საკომერციო სამსჯავრომ დაადგინა, რომ სახელი დე-ლა-ვარი გამოცხადებულ იქნას შეუძლებელ გადამხდელად.

ბუდა-პეშტი. ხარჯთ-აღმრიცხველი კომისია შეიკრიბა, რათა მოესმინა გარეშე საქმეთა მინისტრისაგან, თუ როგორ მდგომარეობაშია გარეშე საქმეები. გრაფმა კილნოკიმ სთქვა, რომ დელეგატებმა უკვე იციან თვითონ იმპერატორის სიტყვიდგან, რომ ავსტრი უნგრეთი მეგობრულად არის ყველა სახელმწიფოსთან. ევროპამ შეითვისა სამთა კავშირი, იმისი აღარ ეშინიათ, მაგრამ პატივსა სცემენ-კი; საფრანგეთთან დამოკიდებულება ერთობ დასაკმაყოფილებელია, რაიცა მტკიცდება იმით, თუ როგორ მიიღეს საფრანგეთში გაზაფხულზედ იმპერატორი თავისის ოჯახით რივიერაში. რუსეთთან დამოკიდებულება მეგობრულია. სავაჭრო ხელ-შეკრულობას კარგი გავლენა აქვს პოლიტიკურ დამოკიდებულებაზედ. მინისტრმა სთქვა, რომ იგი ნიადაგ სცდილობს შინა სახელმწიფოში მშვიდობა იყოს; იმპერატორსაც გულმხურვალედ ჰსურს, რომ შინაგანი მშვიდობა აღდგენილი იყოს.

პეტერბურგის ბირჟა, 6 აგვისტო.

	მყიდველისა.	გამყიდველისა.	გაყიდულისა.
	მან. კ.	მან. კ.	მან. კ.
ხუთ-მანათიანი ოქრო.	$7{,}_{42}$	$7{,}_{45}$	— ,,
ტამოჟნის კუპონები.	$148\frac{1}{4}$	149	— ,,
მანეთიანი ვერცხლის ფული.	— ,,	— ,,	— ,,
5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . .	— ,,	— ,,	242
—მეორისა	— ,,	— ,,	$221\frac{1}{2}$
4% მესამე სესხისა. .	— ,,	— ,,	— ,,
სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი .	— ,,	— ,,	$194\frac{1}{2}$
გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა:			
6%	— ,,	$101\frac{1}{2}$	— ,,
5%	— ,,	100	— ,
ქუთაისის ბანკის 6%.	— ,,	$101\frac{1}{2}$	— ,,
5%.	— ,,	100	— ,,
5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა	— ,,	99 ,,	— ,,

განცხადებანი

პ. ა. აბაშიძის გამოცემა
გამოვიდა და ისყიდება
პანთეონი
ქართულის თეატრისა
წიგნი I
შინაარსი:
იქვიანი—ვოდევილი 1 მოქმედ.
ბნელს ოთახში—ვოდ. 1 მოქმ.
ახირებულია—ვოდ. 1 მოქმ.
ფასი 30 კაპ.
(10—მ—4)

ისყიდება ტფილისში „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში.

ქუთაისში: ი. ხეთერელისა და წერეთლის წიგნის მაღაზიაში.

ბათუმში ბ. კალანდაძესთან.

განჯაში დ. ქვლივიძესთან.

ახალ-სენაკსა და ოზურგეთში კ. თავართქილაძესთან.

ქრისტინე
მოთხრობა
ე. ნინოშვილისა
გამოცემული
პ. გოგუაძისა და დ. ქვლივიძის მიერ
ფასი ერთი აბაზი

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათიმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო ვენერიული და სიფილისი.

გ. მ. ჩიქოანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

დ. გ. რუდკოვსკი, 10—11 საათ. სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

ი. ფ. პროტასევიჩი,—$11\frac{1}{2}$—$12\frac{1}{2}$ საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელის, ცხვირის და გულ-მკერდისა.

ექიმი ქალი ა. მ. ტურბოვიჩი. $12\frac{1}{2}$—1 საათ. სნეულებანი. დედათა სქესისა.

ა. პ. კარაპეტიანცი, 1—$1\frac{1}{2}$ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ა. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: ვენერიული და შინაგანი.

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—$7\frac{1}{2}$ საათამდის.

ქ. ი. ფრანციუსი, 7—$7\frac{1}{2}$ საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეპტის დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოისა დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

(857—1467)

ქუთაისის ამხანაგობის გამოცემა:
გამოვიდა და დაურიგდა მაღაზიებს გასასყიდად
ჩვენი ცხოვრების
ყვავილი
გ. წერეთლის თხზულებანი
II ტომი
ფასი სამი აბაზი
(3—მ—2)

ცხოვრება
შეიდთა ყრმათა ეფესელთა
გამოცემა მ. შარაძისა და ამხ. სტამბისა
ფასი ერთი შაური
ისყიდება:

წერა-კითხვის გამავრცელებელისა, ქართველთა ამხანაგობისა, გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში და გამომცემელთავე სტამბაში.

ოზურგეთს. კ. თავართქილაძესთან.

სამტრედიაში. პ. გელეიშვილთან.

ქუთაისში. წერეთლისა და ბეჟანეიშვილის მაღაზიებში.

თელავში. ი. იმერლიშვილთან.

ცხოვრება
დიდისა მოწამისა პანტელეიმონისა
თარგმნილი
მ. შარაძის მიერ, გამოცემა ი. ჩიჩუასი
ფასი ერთი შაური

ისყიდება ტფილისის ქუთაისისა და ოზურგეთის წიგნის მაღაზიებში და შარაძისა და ამხან. სტამბაში.

Дозволено цензурою Тифлисъ, 7-го Сентября 1894 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.